572
1967

1967 სექტემბერი N 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი, ახალი, ახალი

გივი ჭიჭინაძე

სკოლაში მიდის მარიკა,
სუყველა თავზე დაჰხარის.
ახალი ფორმა ჩააცვეს,
ბაფთაც უხდება ახალი.

ახალ მოსწავლეს ახალი
ამხანაგებიც შეჰფერის.
კარებთან დახვდა ღიმილით
ახალი მასწავლებელი.

ნახატი **ჯემალ ლოლუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10.362

ნაკლული

რევაზ ჯაფარიძე

ასმათი თითებზე ითვლიდა დღეებს, პირველ სექტემბერს სკოლაში უნდა წასულიყო. წინასწარ მოიმარაგა დედა-ენა, ორი რვეული, ლამაზი ფანქრები და ტყავის დიდი ჩანთა.

პატარა ძმა. დათო, რომელიც ასმათზე ორი წლითა და ორი თვით უმცროსი იყო, დას გვერდიდან არ შორდებოდა. დათოს იმედი ჰქონდა, რომ პირველ სექტემბერს მასაც ასმათთან ერთად გაუშვებდნენ სკოლაში.

სწავლის დაწყების წინადღეს ასმათმა თავისი ჩანთა გაამზადა. ჩააწყო შიგ ორი რვეული, დედა-ენა, ლამაზი ფანქრები, ლოყაშებრაწული ატამი და ერთი სისხლივით წითელი ბროწეული.

დათო გასუსული იწვა ლოგინში. ყველას ეგონა, ძინავს და ასმათის სამზადისს ვერ ხედავსო. როგორ მოტყუვდნენ! დათომ დიდხანს იფხიზლა. გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, ასმათს გავასწრებ და ბავშვებს სკოლაში დავხვდებიო.

გამოაჭყიტა თვალები დილას და კინაღამ ხმამაღლა აზლუქუნდა.

უზარმაზარი მზე უკვე ამოსულიყო და ეზოს, დიდ კაკალს, მარნის სახურავს, ბოსტანს და მთელ აივანს წითლად ანათებდა. ასმათს უკვე გაესწრო სკოლაში. დათო გარეთ გამოვიდა, ჩანთა გამოიტანა და ჭიშკართან დაჯდა. ბავშვებს აღარ ამოუვლიათ. სწავლა დაწყებული იყო.

გახარებული ასმათი შუადღისას მოვიდა. დედა და ბებია დიდის ამბით შეეგებნენ. დათო ვილას ახსოვდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გასწავლეს სკოლაში?—ჰკითხა დას დათომ, როცა სადილის შემდეგ მარტონი დარჩნენ და ასმათმა დედა-ენა გადაშალა.

— ნაღების ჭამა!—მედიდურად მიუგო ასმათმა და მაშინვე გაკვეთილის სწავლა დაიწყო.

— რას ამბობ?—განცვიფრდა დათო,— ნაღების ჭამა ხომ მეც ვიცი!

— რასაკვირველია. შენ სწავლა უკვე აღარ გჭირდება. სკოლაშიაც ამიტომ არ დადიხარ!

— ხვალ წამოვალ!

— რა უნდა გააკეთო? ნაღები განა შინ არა გვაქვს? უთხარი ბებიას და დაგისხამს.

— არა, მე სკოლაში მინდა. სკოლაში გემრიელია. მაგრამ,—დათო მოიღუშა,— დედა-ენა და ფერადი ფანქრები რომ არ მიყიდეს?

— რად გინდა დედა-ენა და ფანქრები! ჩანთა ხომ გაქვს, ჯამი ჩანთაში ჩადე. მჭადს დამიანე მასწავლებელი ჩაგიფშვნის და ნაღებსაც დაგისხამს.

— თუ აგრეა, დღეს აღარ ვივახშმებ, ხვალ დილამდე მოვიცდი!—თქვა ეს დათომ და კიდევაც შეასრულა თავისი სიტყვა. შეშფოთდნენ დედა და ბებია. არც იმ საღამოს და არც მეორე დღეს მის პირში ხემსი არ ჩასულა.

— რა ვქნათ?—ჰკითხა დედამ ბებიას და კინალამ ტირილი დაიწყო.

— გავუშვათ,—ურჩია ბებიამ,—ბავშვებში მაინც გაირბენ-გამოირბენს, მოშივდება...

მესამე დღეს, მზის ამოსვლის წინ, დათო დედამ გააღვიძა.

— არ მიდიხარ, გენაცვალე, სკოლაში? ადე, უკვე დროა!

დათომ საჩქაროდ ჩაიცვა, პირი დაიბანა, ჯამი ჩანთაში ჩადო და სკოლის გზას გაუდგა. წასვლის წინ ორად ორი ლუკმა ძლივს გადააყლაპეს. სკოლის ეზოში ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს და გარს



ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოეხვივნენ. ყველას უნდოდა ენახა ახალი მოსწავლე—ასმათის პატარა ძმა.

გაკვეთილი დაიწყო. დამიანე ბიძიამ ცარცით რაღაც მომრგვალებული დახატა დაფაზე და თქვა:

— ბავშვებო, ეს არის ია. ი-ა!

— ი-ა!—გაიმეორა კლასმა.

„ნეტა ნაღებს როდის დაგვისხამს? გაიფიქრა დათომ,—უკვე დროა!“

— აბა, გაიმეორე, პატარავ!—ახლა მას მიმართა მასწავლებელმა.

დათოს უნდოდა გაემხილა, მჭადის ჩაფშვნისა და ნაღების ჩამორიგების დრო არისო, მაგრამ ხედავდა, რომ ბავშვებს ჯერ კიდევ არ ამოეღოთ ჯამები და თვითონაც არ გამოაჩინა.

— გაიმეორე, დათო,—ხელახლა უთხრა მასწავლებელმა.

დათომ გაიმეორა:

— ი-ა!

— ყოჩაღ! ამას ვერ უყურებთ, რა გონიერი ბიჭი ყოფილა?

— ეგ პატარაა!—დაიძახეს ბავშვებმა.

— მერე რა ვუყოთ! სამაგიეროდ გონიერი ბიჭია.

გაკვეთილის შემდეგ დათომ ასმათს გაასწრო, პირველი შევარდა ეზოში და ბებიასა და დედას მიახარა:

— დამიანე მასწავლებელს ნაღების ჩამორიგება დაავიწყდა.

ნახატი **ზურაბ მეძმარიაშვილისა**

ნახატები **იური ქლიბაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვილ ინყეგა ყველგან

ნინო კერესელიძე

კენგურუმ კერა ჩანთები,
კალმებს ითვლიან ბატები.

კოდალამ დაფა გარანდა,
მელამ გაწმინდა კარადა.

არ ისვენებდნენ ვეფხვები,
ღებეს და ღებეს მერხები.

მაჩიტას სთხოვეს ზარები,
ღიაა სკოლის კარები.

ბელს წიგნი მისცეს რჩეული,
ცაცხვის ფოთლების რვეული.

ცრემლი ჩამოსდით ნიანგებს,
რვეულებს ვეღარ მიაგნეს.

ჩაიღუღუნეს მტრედებმა,
ნანატრი დილა თენდება,
ჩვენი ლამაზი ჩანთებით
სკოლისკენ გავემართებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაყი ღამურა

ი გ ა ვ ი

შემოდგომა იყო. სიცივით გათოშილი ღამურა აღმა-დაღმა დაფრინავდა და კიოდა. ღამურას კივილს არწივმა მოჰკრა ყური, ფრინველთა მეფემ.

— რა გატირებს, ღამურა?—ჰკითხა მან.

— სულ გავითოშე,—უპასუხა ღამურამ.

— მაშ, ჩიტებმა რაღა ქნან?

— ჩიტებს რა უჭირთ, ბუმბულში არიან გახვეული.

არწივი ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე ჩიტებსა სთხოვა, თითო ბუმბული ღამურას მიეცითო.

შეიმოსა ღამურა, კარგად შეიბუმბლა და ისეთი ლამაზი გახდა, რომ შენი მოწონებული. ნაირ-ნაირფერად იყო აჭრელებული. ფრთას რომ შემოჰკრავდა, თვალს მოგჭრიდა. გაიბღინძა, ერთი შემხედეთ, რა ლამაზი ბუმბული მაქვსო. ჩიტებთან გამოლაპარაკებას აღარ კადრულობდა. იდგა, უყურებდა თავის მშვენიერ ბუმბულს და ტკბებოდა.

ჩიტები არწივს მიადგნენ და შესჩივლეს: კვეხნით აგვიკლო მაგ ღამურამ. საკუთარი ბუმბული მაინც ჰქონდეს, სხვისი ბუმბულით მოაქვს თავი და ჩვენთან ლაპარაკსაც აღარ კადრულობსო.

ისევ მოუხმო არწივმა ღამურას.

რას გერჩიან ეს ჩიტები, რა უნდათ შენგანაო?

შური ალაპარაკებთ, გულზე სკდებიან, რომ მაგათზე ლამაზი ვარ. თორემ არა! აბა, ერთი შენს თავს დახედე და ნახავო!

ესა თქვა და ფრთა გაშალა. მართლაც ძალიან ლამაზი იყო.

კარგიო,—უთხრა არწივმა. მაშ, ახლა ყველა ჩიტი თავ-თავის ბუმბულს წაიღებს. თუ ასე ლამაზი ხარ, სხვისი ბუმბული რაში გჭირდებაო!

ეცნენ ჩიტები და სულ ღერო-ღეროდ დააცალეს ბუმბული. დარჩა ღამურა ძველებურადვე ტიტველი და გაქუცული. შერცხვა, და იმ დღიდან მარტო ღამ-ღამობით დაფრინავს.

ინგლისურიდან თარგმნა **მარინა ჯელიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჟი ბუბეჭკორი



ლომი

ლომი იყო ნამდვილი,
ბუსუსებდა ლომივით:
ეველა მომერიდოსო,
თუ სიბრაზე მოძივლის.

თვალებს აბრიალებდა,
აჩალებდა ნალვერდალს,
ალაყაფის კარიკით
სახას ფართოდ აღებდა.

ისე დაიღრიალა,
შეკვაშინა ბავშვები,
ავდექი და წავშალე
ჩემი დიდი საშლელით.

ბოლნა

ძლიერ მიყვარს დედის ბოლჩა.
შეკრულია, რაც კი მორჩა
ძველ კოსტუმს და
კაბას წითელს,
საბნის ჰირს და
საბნის მითელს.
დედა სტუმრად ან ბაზარში
როცა წავა, ბოლჩას გავშლი
და ეველაფერს ავისრულებ,
ჩემს თოჯინას—მაისურებს
და ოქროსფერ ღამის ჰერანგს
დავჯდები და შევუკერავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტოგრაფთან



გაუწედებათ ალბათ მზეცებს
მოთმინების მაფი,
მაიმუნი თვალს აცეცებს—
მათი ფოტოგრაფი.

სპილომ, როგორც ოთხი სკეტი,
დადგა ოთხი ფეხი,
ჯდება იქვე, ლომის გვერდით
ზოლიანი ვეფხვი.

დიდგული და ბრაზით სავსე
ნელა ირჩევს ადგილს
და გვირგვინად სპილოს თავზე
დგება ფარშავანგი.

მამალი

ძაძალი გვეავს, წლეულ ზაფხულს
გადარია მთელი ფერმა
იმის კაჟლა-კაპოჟლამ და
იმის ხმამ და იმის ფერმა.

ეიეის სხვებზე უფრო ადრე
და აფხიზლებს მიდამოსა,
თითქოს ამბობს,
ძე მიმადლეთ
ქვეყანაზე მზის ამოსვლა!

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ჯავშნოსანი პოტიომკინი

რუსეთში იწყებოდა 1905 წლის პირველი რევოლუცია. რუსეთის დიდი ქალაქების მუშები მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ეს უკვე ნამდვილი შეიარაღებული აჯანყება იყო. გლეხები მემამულეებს ერეკებოდნენ და მათ მიწებს ინაწილებდნენ.

აღშფოთება იყო მეფის ჯარშიც. ჯარისკაცებს აშიმშილებდნენ, მკაცრად ეპყრობოდნენ და სცემდნენ კიდეც. მუშებთან ერთად ისინიც მზად იყვნენ საბრძოლველად.

1905 წლის ზაფხულში მეზღვაურებმა აჯანყება მოაწყეს ჯავშნოსან „პოტიომკინზე". „პოტიომკინი" შავი ზღვის ფლოტის დიდი საბრძოლო გემი იყო და მის ეკიპაჟში რვაასი მეზღვაური ირიცხებოდა. აჯანყებულები გემის ოფიცრებსა და მეთაურებს გაუსწორდნენ, ჯავშნოსანი ხელთ იგდეს და ზედ რევოლუციის წითელი დროშა ააფრიალეს.

მეფის მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად მთელი შავი ზღვის ფლოტი გაგზავნა, მაგრამ სხვა გემების მეზღვაურებმა ჯავშნოსანს სროლა არ დაუწყეს.

შავ ზღვაში ჯავშნოსან „პოტიომკინზე" წითელი დროშა მთელი ერთი კვირა ფრიალებდა. მაგრამ გემს საწვავი და სურსათი გამოელია. მაშინ მეზღვაურებმა გადასწყვიტეს, ქედი მაინც არ მოეხარათ და სხვა ქვეყნისათვის შეეფარებინათ თავი. ისინი რუმინეთის ნაპირებს მიადგნენ.

მაგრამ რუმინეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ აჯანყებულები გასცა. მეფის მთავრობა მათ სასტიკად გაუსწორდა,—ზოგი ჩამოაღრჩო და ზოგიც გადაასახლა.

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზარიფა

ალევტინა ბაბაევა

ნახატები ზურაბ ფოცხიშვილისა

იაშარი მესამე კლასში გადავიდა. ახლა უკვე უფროსკლასელი ჰგონია თავი. ვიდრე მეორე კლასში სწავლობდა, უმცროს დაიკოს ჰპირდებოდა: როგორც კი მეორე კლასს დავამთავრებ და მესამეში გადავალ, მთელ ჩემს სათამაშოებს შენ გაჩუქებო.

აი, ზაფხულის არდადეგებიც დადგა.

— სათამაშოებს რატომ არ მაძლევ?— ჰკითხა ზარიფამ ძმას.

— ჯერ ხომ მესამე კლასში არ ვსწავლობ,—მიუგო იაშარმა,—მართალია, გადავედი, მაგრამ სწავლა ხომ არ დამიწყია? აი, სწავლას რომ დავიწყებ, მაშინ მოგცემ.

ზაფხული ნელ-ნელა იწურებოდა. ზარიფა არდადეგების დამთავრებას მოუთმენლად ელოდა. მას ეგონა, პირველ დღესვე იაშარი სკოლიდან დაბრუნდება თუ არა, მაშინვე დამიძახებს, კარადას გამოაღებს და მეტყვის: აჰა, ზარიფა! მე ხომ უკვე დიდი ბიჭი ვარ. ყველა სათამაშო დღეიდან შენი იყოსო.

ზარიფა ძრავიან ნავს დასტაცებს ხელს, ზედ ყველაზე ლამაზ დედოფალას დასვამს და წყლით სავსე ტაშტში ჩაუშვებს.

ეს ბედნიერება რომ წარმოიდგინა, ზარიფამ ტაში შემოჰკრა.

ოჰ, ეს ძრავიანი ნავი! დეიდა გულნაზმა ეს ნავი იაშარს აჩუქა, ზარიფას კი ერთი თმაგაჩეჩილი დედოფალა მოუტანა. როგორ შეშურდა ზარიფას ძმისა!..

იაშარი ხანდახან დიდ ტაშტს წყლით ავსებდა და შიგ ნავს უშვებდა. ძრავი ტკაცუნობდა და ნავი წყალში წრეებს ხაზავდა. იაშარი ზარიფას ახლოსაც არ აკარებდა. ახლა კი ეს ძრავიანი ნავიც და სხვა სათამაშოებიც ზარიფასი იქნება. განა ზარიფას არა ჰქონდა, მაგრამ მაინც ძმის სათამაშოებზე რჩებოდა თვალი.

დღეს კი ზარიფამ ვეღარ მოითმინა. სათამაშოებიან კარადასთან მივიდა და თავისი მომავალი „სიმდიდრე“ შეათვალიერა.

უეცრად კარი გაიღო. ეს იაშარი იყო. გოგონა მიეგება.

— ამდენ ხანს რას სწავლობდი?—საყვედურით მიმართა ძმას.

იაშარმა ზურგჩანთა აუჩქარებლად მოიხსნა, საწერ მაგიდაზე დადო და ზარიფას დინჯად მიუგო:

— პირველკლასელი კი ნუ გგონივარ, რომ ადრე მოვიდე! ახლა ორი მასწავლებელი გვყავს. შენ გგონია, მესამე კლასში სწავლა ადვილია?

„მესამე კლასი“ გაიგონა თუ არა, ზარიფას კარადისაკენ გაექცა თვალი. ეს ამბავი იაშარს არ გამოპარვია. იგი კარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასთან მივიდა და გამოაღო. პირველად ძრავიანი ნავი მოხვდა თვალში, მაგრამ უმალ მზერა მოარიდა და ქვედა თაროზე დაწყობილ სათამაშოებთან ჩაიმუხლა. დიდხანს არჩია, არჩია, ბოლოს ერთი დანჯღრეული საბარგო მანქანა და ცალყურა კურდღელი გამოიღო და ზარიფას გაუწოდა.

გოგონას წყენისა და გაოცებისაგან თვალები ცრემლით აევსო.

— შენ ხომ დამპირდი, ხომ დამპირდი...—დაიწყო სლუკუნით, მაგრამ ტირილი აუვარდა და ხმა ვეღარ ამოიღო.

იაშარმა გოგონას დამშვიდება სცადა.

— რა გატირებს? აჰა, ეს მანქანა და კურდღელი აიღე! ნახე, რა ლამაზია, მერე რა, თუ ცალყურაა... ყველას ერთად ხომ არ მოგცემ. მერე კიდევ გაჩუქებ...

— მერე? როდის იქნება ეს „მერე“?

იაშარი ხმას არ იღებდა. ზარიფა ბებიასთან გაიქცა.

ბებიას ბავშვების დავა ესმოდა. მან ზარიფა მუხლებზე დაისვა და ცრემლები მოსწმინდა.

— ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ ტირი!

ზარიფა ბებიას ეკვროდა და უფრო ქვითინებდა.

— ბებიკო, როდის მოვა „მერე“?

ბებიამ გაიღიმა.

— ერთი დღის შემდეგ მოვა „მერე“.

მეორე დილას დედამ ზარიფა საბავშვო ბაღში წაიყვანა.

იქ იმდენი სათამაშო იყო, იმდენი, რომ ზარიფამ აღარ იცოდა, რომელი ერთით ეთამაშნა. გოგონა ისე გაერთო ბავშვებში, იაშარის ძრავიანი ნავი აღარც გახსენებია.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ლეილა ერაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ეკ. ამბოკაძისა

ზარის წკრიალი გაისმა

ნესტორ მალაზონია

სექტემბრის დილა გათენდა,
ეს რა მზიანი დარია,
ზარის წკრიალი გაისმა,
ეს ჩვენი სკოლის ზარია.

დედი, სკოლაში მივდივარ,
სადაც ტოლები არიან,
იქ წერა-კითხვას ვისწავლი,
მივდივარ, მიმიხარია.

ოცდაცამეტი გასაღები

ალექსანდრე ღიღებაშვილი

ერთ საღამოს მამა სამსახურიდან დაბრუნდა, ქაღალდში შეხვეული რაღაც მოიტანა და ვაჟას უთხრა:

— აბა, ვაჟა, თუ გამოიცნობ, რა მოგიტანე?

ვაჟამ თვალი შეავლო შეხვეულს, თან ფიქრობდა, ნეტავ რა უნდა იყოსო.

— სათამაშო იქნება, გახსენი რა, ვნახო.

— ვერ გამოიცანი... ეს ზღაპრული სასახლეა, შიგ რომ შეხვიდე, ოცდაცამეტი გასაღები გჭირდება. შეხვალ და... გაეცნობი მშობლიურ მხარეს, ადამიანებს, უცხო ქვეყნებს.

ვაჟა უსმენდა მამას და ვერაფერს ხვდებოდა. ასე პატარაა და ამდენი როგორ შეუძლიაო.

— აბა, გახსენი, მამიკო!—ველარ მოითმინა ვაჟამ.

მამას გაეღიმა, ქაღალდი ნელ-ნელა შემოაცალა და...

— „დედა-ენა!"—სიხარულით წამოიძახა ვაჟამ.—ის ოცდაცამეტი გასაღები სადაა?—ჰკითხა მამას.

— თითო ასო, შვილო, თითო გასაღებია. ქართულ ენაში სულ ოცდაცამეტი ასოა. ყველა უნდა შეისწავლო. მერე წაიკითხავ წიგნს და ბევრ რამეს ისწავლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოწოლაზე საყვედური

ოთარ შალამბერიძე

საძოვრიდან დედას ჩემთვის
ძოაქვს სავსე ჯიქანი.
რძიან ცურებს დრუნჩს ამოვკრავ,
ჩემი საზრდო იქ არი.

მაგრამ თბილ რძეს
ვინ გაღირსებს,
ფაციფუცით დგებიან;
აქეთ გიგა მაჩერებს და
იქით გიგას ბებია.

მიმაბამენ ღობის ძირას,
დედას არც კი ჰკითხავენ;
ჯიქანი რომ დაიცლება,
მაშინ მომაკითხავენ.

ამხსნიან და ხელსაც მკრავენ,
დადგა შენი ჯერიო,
თუ რამ დარჩა, გამოსცალე,
ჰერი, ბოჩოლ, ჰერიო!

ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა

ხელმწიფე და ოთხკუთხილი

ქართული ხალხური ზღაპარი

ერთი ღარიბი გლეხის შვილი მოჯამაგირედ დაუდგა ავ ხელმწიფეს. პატიოსნად ემსახურებოდა, მაგრამ ხელმწიფე მაინც უკმაყოფილო იყო. მოჯამაგირის თავიდან მოშორება განიზრახა. ერთ დღეს დაიბარა და უთხრა: სამ დავალებას მოგცემ და თუ სამ დღეში არ შემისრულებ, თავს წაგაცლიო.

მოჯამაგირე შეშინდა, მაგრამ გული გაიმაგრა და,— ბრძანეო,—უთხრა. ხელმწიფემ თქვა: გამიგე, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის; მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი; და ამიხსენი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობო.

მოჯამაგირე წამოვიდა გამწარებულ-დაძმარებული. ვინ ასწავლიდა ამდენ რამეს. წავიდა და თავისი გაჭირვება ერთ მოხუც კაცს შესჩივლა.

— შენ ნუ დარდობ, მაგას მე მოვუვლი, შენ წადი და დაიძინე,—უთხრა მან მოჯამაგირეს.

მესამე დღეს მოხუცმა ჩაიცვა მოჯამაგირის ტანისამოსი, თმები შავად შეიღება, წვერ-ულვაში მოიპარსა, ზურგზე დიდი გოდორი მოიგდო და ხელმწიფეს ეახლა. ხელმწიფე გამოვიდა და მოჯამაგირეს ჰკითხა:

— შეასრულე, რაც დაგავალე?

— ყველა უკლებლად შევასრულე!

— აბა, მითხარი, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის?

— შვიდი ათას ექვსას სამოცდაორი ნაბიჯია, წუხელაც შევამოწმე. ნამდვილად ასეა!

— მერე და ამას რითი დაამტკიცებ?

— მე თვითონ გამოვთვალე, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ!

ხელმწიფე მიხვდა, რომ მოჯამაგირემ აჯობა, მაგრამ თითქოს არაფრად ჩააგდო და ისევ ჰკითხა:

— აბა, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი!

— მამაშენს მამაჩემისა ეს გოდორი ოქრო მართებია, ახლავე დამიბრუნე, თორემ მთელ ხალხს შეგიყრი!

— რას მიედ-მოედები!—გაანჩხლდა ხელმწიფე.

— ტყუილის თქმა მინდოდა!—სიცილით მიუგო მოჯამაგირემ. ხელმწიფე დარწმუნდა, რომ მახეში გაება, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— აბა, მითხარი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ?

— ახლა ფიქრობ, რომ შენს წინ მოჯამაგირე დგას, მაგრამ სასტიკად ცდები. ახლა იმას დარდობ, როგორ გაჯობა მოჯამაგირემ, მაგრამ რას იზამ!—უპასუხა მოხუცმა.

ეს თქვა თუ არა, მეორე კარებში მოჯამაგირე გამოჩნდა, ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: დავალება ხომ უნაკლოდ შევასრულე. პირობას ხომ არ გადავსულვარო.

შერცხვენილი ხელმწიფე დიდხანს იდგა გაშეშებული. მოჯამაგირე და მოხუცი კი გულიანად ხარხარებდნენ.



ნახატი ი. ულისაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეიერი

რა ფრინველია?!

არნო ონელი

ერთ ფრინველზე მოგახსენებთ,
ყველას გაგიგონიათ—
თურმე ცუდი, მეტად ცუდი
ჩვეულება ჰქონია:

არსად ბუდეს არ იკეთებს,
არ აქვს თბილი კერია,
შვილებისთვის არასოდეს
ნანა არ უმღერია.

აბა, რას ჰგავს?
კვერცხს სდებს სხვაგან—
სხვა ჩიტების ბუდეში...
სულ ეს არის დედის ზრუნვა,
აღერსი და ნუგეში!





ფერადი ყენჭეჯი

ალექსანდრე ბაბაჯანიძე

ფერად კენჭებს აგროვებს
ზღვის ნაპირზე თამაზი,
ჩალის ქუდში ჩაყარა,
რაც კენჭია ლამაზი.

დათო ბიჭი გაბრაზდა,
მოულოდნელად მარჯვენა:
— ყველამ შინ რომ წაიღოს,
ზღვაზე რალა დარჩება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპუბლიკა

№ 2

ჟირაფი

ჟირაფს განთიადზე ძალიანაც რომ
შიოდეს, ვიდრე მცენარეს მზე არ გაათ-
ბობს, პირსაც არ დააკარებს.
ჟირაფები კუდით „ლაპარაკობენ“.
ისინი ყველაფერს ერთმანეთს კუდის
მოძრაობით ანიშნებენ.
ჟირაფს ოთხივე ფეხი თანაბარი აქვს,
ერთი შეხედვით კი გეგონებათ, უკანა
ფეხები მოკლეაო, ამის მიზეზია ცხო-
ველის დაბალი ზურგი.

ციცხა

შალვა შუბლაძე

ციცხა, იქით!
ციცხა, ფისოჟ,
მოგწონს ეკელის ნაჭერი?
გსურს შესანსლო უსინდისოდ
დედოფალას საჭმელი.
ულგაშების რად აცქაცუნებ,
ხომ მიგიხვდით კატუნი!
ვერც კრუტუნით გაგვაცურებ
და ვერც ოაგის კანტურით.

იუგოსლავური საბავშვო ჟურნალიდან

მთავარი რედაქტორი მ უ ხ რ ა ნ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი.

სარედაქციო კოლეგია: გივი გეგეჭკორი, კუკური გოგიაშვილი, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა, იოსრამ ძმერტელიძე, (პ/მგ. მდივანი) შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რევაზ ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი შალვა ცხადაძისა

ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

გამოცემის მე-40-ე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 334. სტამბის შეკვ. № 2363. ტირაჟი 82.000. ქაღ. ზომა 60×90 1/8 ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-67 წ
ფურცელი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14. „ДИЛА“ № 9 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91. ტელ. 5-87-88, 5-18-09 ფასი 20 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76055

ნახატი ედ. ამბოკაძისა